გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 19

2024 წლის 13 დეკემბერი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260010.35.148.016402) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახური არის გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას; საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის უფლება-მოვალეობების განხორციელებას.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას, მათ განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას;“.

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

ე) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების მომზადებას;“.

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) სოციალური უზრუნველყოფის და დასაქმების სფეროში მუნიციპალიტეტის სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასებას;“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**